MES 9 21 0000558931

11/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:35სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
2	გიორგი ქვარცხავა		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
3	ნინო ლომიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების	I, II, III

			ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
4	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	**I, II, III**
5	გიორგი გაგოშიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ ხელმძღვანელი	**I, II, III**
6	ზვიად ტიგინაშვილი		ასოცირებული პროფესორი	**I, II, III**
7	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**I, II, III**
8	მალხაზ დოლიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი	**II, III**
9	დიმიტრი ნატროშვილი		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ ხელმძღვანელი	**II, III**
10	დავით გუბელაძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ ხელმძღვანელი	**II, III**
11	მაია ლომიშვილი		ასისტენტ პროფესორი	**II, III**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მერაბ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა დიასამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· კი

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოს მე-2 საკითხად ნაცვლად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა განეხილად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, ხოლო მე-3 საკითხად განსაზღვრულიყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა. აღნიშნულ შუამდგომლობას ერთხმად დაეთანხმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციიდ საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის № 53 გადაწვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სატყეო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორნტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სატყეო საქმის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0821 მეტყევეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	დ.გურამიშვილის გამზ.No17, ქ.თბილისი, სასწ. კორპ.No11, 0192,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29-30 მარტს ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები. 29 მარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო აუდიტორიების, ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების აღჭურვილობის დათვალიერება.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული იქნა აღნიშნულ პროგრამაზე 09.01. 2019 წლის დასკვნის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები და რამდენად იქნა ისინი გათვალისწინებული განახლებულ სასწავლო პროგრამაში. უნივერსიტეტში ვიზიტმა, აგრეთვე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პედაგოგიურ კოლექტივთან გასაუბრებამ, წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და თანმდევი დოკუმენტების გაცნობამ დაადასტურა, რომ 09.01.2019 წლის დასკვნის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები სრულადაა გათვალისწინებული და ასახული იქნა სასწავლო პროგრამაში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევების უმრავლესობა დაწესებულებისთვის სავსებით მისაღებია. შესაბამისად, ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას პროგრამის კიდევ უფრო განვითარებისა და დახვეწისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ იგი გაეცნო სადოქტორო დისერტაციებს და განმარტა, რომ ნაშრომებში გათვალისწინებული იყო საკმაოდ საინტერესო და აქტუალური საკითხების კვლევა.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ რჩევებში ფიქსირდება საკითხები სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს საუნივერსიტეტო წესს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტეერსდა თუ რამდენად ეხება აღნიშნული პროგრამას. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს თემატური სემინარის პროცედურის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ რჩევები არის საკმაოდ ღირებული. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ატარებდეს სარეკომენდაციო ხასიათს, მაგალითად

რეკომენდაცია პრაქტიკის გაძლიერებასთან დაკავშრებით. ყველა საგანი, რომელიც მოცემულია სასწავლო კომპონენტში არის სავალდებულო, სამი მათგანი მოიცავს კვირაში 5 სალექციო საათს. არც ერთ საგანს არ აქვს პრაქტიკული კომპონენტი, შესაბამისად, რამდენად საჭიროა სადოქტორო საფეხურზე კვირაში 5 საათი სრულიად დაეთმოს ლექციას და არ მოიცავდეს პრაქტიკულს ნაწილს, რაც იმისთვის, რომ დოქტორანტი კვლევის განსახორციელებლად იყოს მზად აუცილებელია. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია ექპერტთა მიერ პირველი რჩევის - უპირატესობა მიეცეს გამოყენებითი მეცნიერების მიმართულების კვლევებს - განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პერსონალი, რომელთაგან ერთ-ერთი, რომელსაც ნაშრომები აქვს ამ კუთხით არის მოწვეული. 4 აფილირებული ლექტორიდან ორი არის ფილოლოგიური მეცნიერების კუთხით და ასწავლის არა დარგობრივ საგანს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია ორი ხელმძღვანელის არსებობა და აქვს თუ არა ინსტიტუციას რამე გეგმა აკადემიური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომების ფარგლებში გამოყენებულია საკმაოდ ძველი ლიტერატურა, ასევე წყაროდ მითითებულია ვიკიპედია. შესაბამისად თანამედროვე კვლევებისა და ლიტერატურის გარეშე დოქტორანტს გაუჭირდება „იმპაქტფაქტორიან“ ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულია საკამოდ ძველი ლიტერატურა, კერძოდ 1945-1955 წლების. ასევე საბჭოს წევრმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევა არა სრულყოფილად არის მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ როგორც მოცემულ პროგრამაზე, ასევე აგრო ინჟინერიის პროგრამაზე წარმოდგენილია სამი იდენტური მემორანდუმი. აღსანიშნავია ასევე, რომ სადოქტორო ნაშრომებში არ არის მითითებული კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის ჰიპოთეზა, მაშინ როდესაც სადისერტაციო დებულებაში აღნიშნული დეტალურად არის გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდიმარემ ისაუბრა გამოყენებულ ლიტერატურაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ განხილული სადოქტორო ნაშრომები უკვე დამტკიცებული იყო სამეცნიერო საბჭოს მიერ, შესაბამისად, არ მოხდა კომისიის გადაწყვეტილებაში ეჭვის შეტანა. თუმცა, იმისათვის, რომ შემდგომში ნაშრომებს სამეცნიეროსთან პრაქტიკული ღირებულებაც ჰქონდეთ საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით. რა თქმა უნდა სასურველია დოქტორატებმა გამოიყენონ მეტი თანამედროვე ლიტერატურა. თუმცა, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თუ დოქტორანტს არ აქვს შესაბამისი ენის ცოდნა, მას გაუჭირდება განსხვავებული ლიტერატურის მოძიება და შემდეგ მისი გამოყენება.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით რაზეც ორიენტირებულია პროგრამა, ორი ხელმძღვანელი სავსებით საკმარისია, თუმცა საჭიროებისამებრ შესაძლებელია სხვადასხვა სპეციალისტების ჩართვა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტი მოიცავს სწავლების მეთოდებსა და პროფესორის ასისტენტობას, რაც რეალურად უვითარებს დოქტორანტებს აკადემიურ კომპეტენციებს. აღნიშნული არ არის ასახული პროგრამის შედეგებში. შესაბამისად,

საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხის გაცნობის დროს დაწესებულების აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ მათ მირ განსაზღვრული ამოცანები და მიზნები დეტალურად იქნება მოცემული პროგრამის სწავლის შედეგებში.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა იყო თუ არა დოქტორატებთან შეხვედრის დროს განხილული სამეცნიერო ბაზებთან წვდომის საკითხი და იყენებენ თუ არა პრაქტიკაში დოქტორანტები აღნიშნულ შესაძლებლობას და აქვთ თუ არა სრულყოფილი წვდომა სამეცნიერო ბაზებთან.

ექსპერტმა განმარტა, რომ დოქტორანტებისათვის სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომია, დაწესებულებას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების დებულებაში „იმპაქტ-ფატორიან" ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება არ იყო სავალდებულო, თუმცა აღნიშნული წარმოადგენდა წინა დასკვნის რეკომენდაციას, რაც გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ. ხელმძღვანელი სისტემატურ ზედამხედველობას უწევს დოქტორანტის მუშაობას, კვლევის მიმდინარეობას და ხარისხს. რეგულარულად უწევს კონსულტაციებს. ეხმარება ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების პროცესში.

რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შინაარსობრივად მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებას პედაგოგიური საქმიანობის კუთხით. გარდა ამისა, დოქტორანტი დებულების თანახმად ამზადებს სამეცნიერო სტატიებს და სამეცნიერო კონფერენციას თუ სემინარზე მონაწილეობს და მოხსენებით წარდგება. უნივერსიტეტი დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და პუბლიკაციების მომზადებაში მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად. სტუდენტების მიერ გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შედეგები წარმოდგენილ იქნა კონფერენციებსა და სამეცნიერო სტატიებში. მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით თბილისის ფარგლებში პრაქტიკული ნაწილის განხორციელება რთულია, ხოლო ლაბორატორიულ პირობებში შეუძლებელი. თუმცა აღსანიშნავია, რომ დოქტორანტს პირველივე სემესტრიდან უმტკიცდება პერსონალური სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას თავისი დამტკიცებული თემიდან გამომდინარე. შესაბამისად, დოქტრანტს პრაქტიკული ნაწილი ეწყება პირველივე სემესტრიდან.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, შეფასება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, აკადემიური პერსონალის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი

ცოდნით, გამოცდილებითა და კვალიფიკაციით. ასევე, მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. განსხვავებას მოწვეულ და აკადემიურ პერსონლას შორის პროგრამა არ იძლევა, მათ შორის ხელფასების კუთხითაც. დაწესებულების მიზანია, ყველა მოწვეული ლექტორი, შემდგომ გახდეს ინსტიტუციის აფელირებული აკადემიური პერსონალი. შესაბამისად აგვისტოში უნივერსიტეტის გეგმავს კონკურსის გამოცხადებას.

მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის საკითხი, კერძოდ ნაშრომებში ნამდვილად არის გამოყენებული ძველი ლიტერატურა, თუმცა აღნიშნული მოიცავს დარგის ფუძემდებლების ნაშრომებს, რომელთა არ გამოყენებაც დაუშვებელია. დაწესებულება ასევე გამოთქვამს ლიტერატურის განახლების მზაობას, რა მიმართულებითაც ხორციელდება სამუშაოები.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ვინაიდან დამსაქმებელთა წინადადებები და რეკომენდაციები, საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია, მათი ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში ინტენსიურად ხორციელდება. კვლევა ეყრდნობა თანამედროვე მონაცემებს. დაწესებულებისთვის შრომის ბაზრის კვლევის განხორციელება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ასახულია აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა. გამოყენებული ასევე სატყეო განათლების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც იქნა შრომის ბაზრის კვლევა მომზადებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მემორანდუმებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მემორანდუმებს აფორმეს უცხოურ დაწესებულებებთან, რომლებსაც არა ერთი მიმართულება გააჩნიათ. თუ სხვა მიმართულებები და პროგრამები თავსებადია უნივერსიტეტთან შესაძლებელია, თანამშრომლობა სხვადსხვა პროგრამების ფარგლებში იყოს გათვალისწინებული. პროგრამას გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. დაწესებულება თანამშრომლობს პოზნანის უნივერსიტეტთან და ევროპის სატყეო უნივერსიტეტთან. დოქტორანტები ასევე სარგებლობენ ერასმუსი პროგრამით. რაც შეეხება სწავლის შედეგების საკითხს, პროფესორის ასისტენტობა არის ასახულია სწავლის შედეგებში.

საბჭოს წევრმა, გორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ არ ეთანხმება დაწესებულების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შრომის ბაზრის კვლევის განხორციელება არის ძვირი. ნებისმიერი პროგრამისთვის აუცილებელია შრომის ბაზრის სრულყოფილი კვლევის ჩატარება, იმისთვის, რომ შედეგი იყოს ხარისხიანი.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ევროპის სატყეო ასოციაციის წევრი და შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა, თუმცა პანდემის პირობებში მოხდა აღნიშნული პროცესის შედარებით შეფერხება. დაწესებულებაში მოქმედებდა ასევე 6 წლიანი ერასმუს პროგრამა, რომელის ფარგლებშიც დაწესებულების პროფესორები იყვნენ წასული პოლონეთში ცოდნის გაზიარებისა და გამოცდილების მიღების მიზნით, ხოლო შემდგომ უცხოელი კოლეგები ეწვივნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ ქვეყნას ამ მონაცემებით სჭირდება 900 მეტყევე, ხოლო დღევანდელი დეფიციტი არის დაახლოებით 700 ადამიანი. აღნიშნული მიმართებით კი მოცემული პროგრამა ერთადერთია საქართველოში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული მონაცემები შრომის ბაზრის კვლევაში არ არის მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ თავად ტერმინს მეტყევე, თავისი შინაარსი აქვს, ხოლო სატყეო საქმეს თავისი დატვირთვა. სატყეო საქმე არ გულისხმობს მეტყევეს, აღნიშნული გულისხმობს ადამიანს, რომელსაც აქვს ტყის მართვის სისტემებთან კავშირი. შესაბამისად 900 მეტყევე არ უდრის 900ადამიანს , რომელიც ტყის მართვის საკითხებით არის დაკავებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციისთვის აუცილებელი მოთხოვნაა შრომის ბაზრის კვლევის არსებობა, რითაც დასტურდება პროგრამის მიზანმიმართულება და შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგების ფორმულირება ცოტა უცნაურია. შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს მეთოდოლოგიური თვალთახედვით განმარტებისკენ, თუ რამდენად მიღწევადია სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, არ იყო სავალდებულოდ განსაზღვრული „იმპაქტ-ფატქორიან“ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება, რაც ახლა სავალდებულო საკითხს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების მინიმალური სტანდარტი არის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება და არ არის დაფიქსირებული „იმპაქტ-ფაქტორიანი“ ჟურნალი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად არის აღნიშნული აუცილებელი პროგრამის განვითარებისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სატყეო სექტორის შრომის ბაზრის კვლევა მოცემულია აკრედიტაციის თვითშეფასების თანდართული დოკუმენტაციის მე-8 დანართში.

რაც შეეხება სწავლის შედეგების საკითხს, ლექციებზე ხდება საკითხების განხილვა, შემდეგ სტუდენტებს ეძლევათ დავალებები, რომლებიც გულისხმობენ საერთაშორისო პუბლიკაციების განხილვას, რომლებზეც დაყრდნობით შემდგომ ხდება რეფერატების მომზადება. წარმოდგენილი რეფერატში კი დასტურდება ის, თუ რამდენად აქვს ცოდნა სტუდენტს იმისა, რომ გამოიყენოს უცხოური ლიტერატურა და მოახდინოს მისი ანალიზი.
რაც შეეხება „იმპაქთ-ფატქორიან“ ჟურნალებს, დებულებაში ცვლილებები შევიდა, თუმცა პრაქტიკა ამ კუთხით არ განხორციელებულა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტს აქვს აქტიური კომუნიკაცია დამსაქმებლებთან. თუმცა შრომის ბაზრის კვლევის ფორმა არ აკმაყოფილებს დაწესებულ პრაქტიკას. შედეგობრივად შრომის ბაზრის კვლევის მიზანზე დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა გადის.

  რაც შეხება კვლევით მეთოდების საკითხს, დაწესებულების მოთხოვნაა, რომ ყველა სამეცნიერო ნაშრომს უნდა ჰქონდეს აღნიშნული წარმოდგენილი, სხვა შემთხვევაში, ნაშრომი ვერ გადალახავს ტექნიკური შესაბამისობის ეტაპს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიეროკვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა

და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს აქვს იდენტური პირობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:35
დასრულების დრო: 17:19

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაამატა რიგი რეკომენდაციები. 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომედაცია და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. თუმცა ამან არ გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება და შეფასება დარჩა ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. რეკომენდაციები დაამატა 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტებში ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება და შეფასება დარჩა ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ასევე რეკომენდაციები დაამატა 5.1 და 5.3 კომპონენტებში და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-5 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვისგანსაზღვრულირეკომენდაციებიდარჩევებიშემდეგნაირადგ ამოიყურება:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროგრამის სწავლის შედგებში მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის კურსდამთავრებულის აკადემიური კომპეტენციები;
- რეკომენდირებულია სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება დარგობრივ სასწავლო კურსებში
- რეკომენდირებბულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
- რეკომენდირებულია სწავლების მეთოდებში დაემატოს სიმულაციური მეთოდი, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად საკმაოდ ეფექტურად ინერგება ევროპის საგანმანათლებლო ინსტიტუციებში;
- სილაბუსებში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების რელევანტური შეფასების მეთოდები;
- პროგრამის აკადემიური მდგრადობისთვის გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

- გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
- რეკომენდირებულია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების უკეთ დადარებისათვის სასურველია რეკომენდირებულია შეფასებაში ჩართული იქნას სატყეო დარგის მქონე ევროპის სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამებიც.

რჩევები:

- უპირატესობა მიეცეს გამოყენებითი მეცნიერების მიმართულებით კვლევებს;
- ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისთვის დეტალური და პროგრამის სამოქმედო გეგმასთან შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

17:20 საათზე საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს წევრი თამარ ჩხეიძე

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №517 გადაწვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სასოფლო-სამეურნეო მელიორაცი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგროინჟნერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიციებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	დ.გურამიშვილის გამზ.No17, ქ.თბილისი, სასწ. კორპ.No11, 0192, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ანზორ ბერიძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის „აგროინჟინერია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 4 და 5 მარტს ე.წ ჰიბრიდული ფორმატის სააკრედიტაციო ვიზიტით. კერძოდ, მატერიალურ ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტში 4 მარტს ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის პლადფორმის გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში. აკრედიტაციისათვის წარადგენილი იყო 1 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა ორივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. შეხვდრები გაიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელძღვანელებთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამაში მითითებული ბმული „ბრძანება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ https://gtu.gr/Orders/ “ გასწორდეს ან ამოღებული იქნას ტექსტიდან.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - „ინჟინერია და საინჟინრო საქმე (არაკლასიფიცირებული)“; „მემცენარეობა და მეცხოველეობა“; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია“; „ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება“; „გარემოსმცოდნეობა“ - ამოღებული იქნას შემდეგი მიმართულებები: „მემცენარეობა და მეცხოველეობა“; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია“; „ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება“; „გარემოსმცოდნეობა“;
3. გამარტივდეს და მკაფიო გახდეს შეფასების სისტემა სასწავლო კურსებში „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“ ;
4. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისთვის ნათელი და მკაფიო;
2. ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც იქნება ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგში არსებული მგომარეობის შესწავლასა და ანალიზზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია წინაპირობები მორგებული იყოს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამას. შესაბამისად, თუ პირს არ აქვს ინჟინერიის განათლება პროგრამაზე სწავლა საკამოდ გაუჭირდება.

რაც შეეხება კვლევებს, ფაკულტეტზე მოქმედებს საკმაოდ მოქნილი სისტემა. ფაკულტეტის საბჭოს წელიწადში რამდენჯერმე განიხილავს დოქტორანტების აუცილებლობებს და მუდმივად ცდილობს მათ ხელშეწყობას.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. აღმოფხვრილია პროგრამაში მითითებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი მზადაა მოახდინოს დაშვების წინაპირობის კორექტირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მოსაზრებაა, რომ წინამდებარე რეკომენდაციის სტატუსი უნდა იყოს იდენტური შინაარსის რჩევა და შესაბამისად, 2.1 კომპონენტის ფარგლებში შეფასება - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. შედგენილია ამ დარგის სპეციალისტების მიერ, პროგრამის საჭიროებებისა და მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, აკადემიური თავისუფლების სრული დაცვით. მიგვაჩნია, რომ 2.3. კომპონენტის დამსახურებული შეფასება იქნებოდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. მეტიც, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი დოქტორანტების, პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების, აკადემიური, მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას. კერძოდ, აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალის მიერ ამჟამად დაფინანსებისათვის ფაკულტეტის საბჭოზე (2021 წლის 5 მარტი ოქმის #95)განსახილველად წარმოდგენილია 3 სამეცნიერო კვლევითი პროექტი და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები. რაც შეეხება დოქტორანტების ლაბორატორიულ, სამეცნიერო კვლევებს მას მთლიანად ფაკულტეტის ბიუჯეტი აფინანსებს დაწესებულების წარმომდგენლის განმარტებით, აგროინჟინერია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვთარებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს; მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა. მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი (საშუალება) უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ძირითადი

კვების პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. პრობლემის აქტუალობას აძლიერებს ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტითაა განპირობებული. საქართველოში ბოლო წლებში ინტენსიურად შემოდის თანამედროვე რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიები და მანქანადანადგარები. სახელმწიფოს ინტერესშია, რომ ადგილზე მოხდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენება არსებული პირობების გათვალისწინებით, მათი რეგიონებში დანერგვა და უზრუნველყოფა თანამედროვე დონის კვალიფიციური სპეციალისტებით.

საბჭოს წევრმა ნინო ინასარიძემ 17:29 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, აღნიშნა, რომ თვითშეფასების მიხედვით არის 6 აკადემიური პერსონალი, ხოლო პოტენციური ხელმძღვანელის რაოდენობა არის 9. შესაბამისად დაინტეერსა ეს პირები კვლევით ინსტიტუტს წარმოადგენე თუ უშუალოდ პროგრამას. გარდა ამისა, ჩარიცხული დოქტორანტებიდან მხოლოდ ორს აქვს სტატუსი შეჩერებული, ხოლო 4 შიდა მობილობის საფუძველზეა გადასული. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ გამწვია სტუდენტების სხვა პროგრამაზე მობილობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა N9 სილაბუსი და განმარტა, რომ სწავლის შედეგებში გაწერილია შემდეგი: ,,განმარტავს, სარგებლობის ფუნქციონირებას, საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთობის თავისებურებას და ასე შემდეგ. აღწერს, ასაბუთებს, ანგარიშობს, აფასებს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა შესაბამისობაშია თუ არა სწავლის შედეგები დოქტორანტურის საფეხურთან.

გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რამოდენიმე სილაბუსი ერთი და იმავე ავტორის მიერ არის შედგენილი, თუმცა მიმართულებები განსხვავებულია. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა ხომ არ ქმნის აღნიშნული რაიმე პრობლემას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა ექსპერტებს მე-3 რეკომენდაციის დეტალურად განმარტებისკენ. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა მოცემულია სამივე საფეხურისთვის და ბიუჯეტის დოკუმენტში არაფერი არ არის მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტს შემოსავალი აქვს, აუცილებელია გაიწეროს შემოსავლები და ხარჯები.

მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის საკითხი, კერძოდ პროგრამის ფარგლებში გათვალიწინებულია საკმაოდ ძველი ლიტერატურა, კერძოდ 1937 წლის სახელმძღვანელოა-აგროკლიმატური ცნობარი.

საბჭოს წევრა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევები ეხება თემის აქტუალობის საკითხებსა და დოქტორანტების საერთასორისო დონეზე ჩართულობას. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ განხილულ სადოქტორო ნაშრომებზე, როგორც ტექნიკური ასევე შინაარსობრივი კუთხით. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რატომ არ აისახა აღნიშნული საკითხი 2.4 კომპონენტის შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევა არ დაფიქსირებულა და გაცემული რჩევა უკავშირდება დოქტორანტების ჩართულობას და პროგრამის განვითარებისათვის არის გაწერილი. ხოლო, რაც შეეხება დოქტორანტთა მობილობას, საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებს ინფორმაცია არ აქვთ.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ შეფასების სისტემა გასამარტივებელია. აღნიშნულ საგანში სტუდენტის შეფასება ხდება „მიმდინარე აქტივობით“ რომელიც ფასდება 15 ქულით, შეფასების კრიტერიუმებია 3. თემეტური პროექტით, რომლის შეფასების კრიტერიუმია 8, ნაშრომის ტექნიკური მხარე 2 შეფასების კრიტერიუმით. „შუასემესტრული გამოცდა“ - მეცნიერული ესე-ს მომზადება მაქსიმალური ქულა 30, შუასემესტრული გამოცდა 30 ქულა 9 შეფასების კრიტერიუმით. დასკვნითი გამოცდა - რეფერატი - მაქსიმალური 20 ქულა, რეცენზია - მაქსიმალური 20 ქულა, რეფერატიც და რეცენზიაც ფასედება 5-5 კრიტერიუმის მიხედვით. ასევე ბუნდოვანია შეფასების სისტემა სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“, კერძოდ გაწერილია შეფასების კრიტერიუმი რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 10 ქულას, ხოლო 9, 8, 7, 6, 5 ქულა გაუგებარია რა კრიტერიუმით იწერება.

რაც შეეხება თემების აქტუალობის საკითხს, უნდა მოხდეს კავშირების გაფართოვება კერძო სტრუქტურებთან,მათი ინიციატივით მოწოდებული აქტუალური თემების დამუშავების მიზით. დაწესებულებას აქვს მსგავსი აქტივობები, კერძოდ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ცოტნე მირცხულავას სამეცნიერო ინსტიტუტთან. თუმცა დამსაქმებლებისა და კვლევების პოტენციური გამომყენებლების ჩართულობა სასურველია მეტი იყოს. ექსპერტმა ასევე ისაუბრა სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით და დადებითად შეაფასა ისინი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა რჩევა, რომელიც ეხებოდა სტუდენტების რეაკრედიტაციის პროცესში ჩართულობას და დააზუსტა თუ რამ გამოიწვია მოცემული რჩევის განსაზღრა თუ მას უფრო რეკომენდაციის ხასიათი აქვს.

ექსპერტმა განმარტა, რომ იყვნენ დოქტორანტები, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროცესში, თუმცა ზოგადად ჩართულობა იყო დაბალი, სწორედ ამიტომ საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჩართულობაც იძლეოდა სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგოერთი სტუდენტი უფრო აქტიურად არის ჩარრთული და გამოხატავს აღნიშნულს, ზოგი კი შედარებით ნაკლებად. რეაკრედიტაციის პროცესში დაწესებულებაში მოცემული პრობლემა არ იდგა. მუხედავად ამისა, უნივერსიტეტისთვის მისაღებია ექპერტთა რჩევა.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტი დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და პუბლიკაციების მომზადებაში მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად. სტუდენტების მიერ გამოქვეყნებულია 28 სამეცნიერო ნაშრომი, აღნიშნულ ღონისძიებებში ფაკულტეტი მუდმივად უწევს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებს. რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, აღნიშნული მკაფიოდ განსაზღვრავს თუ რა რესუსრების არის გათვალისიწნებული. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ფინანსურად სრულიად უზრუნველყოფილია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ქმედითია და მუშაობს, თუმცა დაწესებულება გეგმევას საკითხთან დაკავშირებით მსჯელობის გაგრძელებას. აღქმის დონეზე დოქტორანტურის საფეხურის

სტუდენტს პრობლემა არ შეექმენბა. გარდა ამისა საყურადღებოა აკადემიური თავისუფლების საკითხიც, რაც შესაძლებლობას აძლევს ლექტორს თავად აირჩიოს შეფასების სახე და სისტემა.

პროგრამის ხელმძთღვანელმა მობილობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მობილობით გადასული ოთხივე პიროვნება არის კვლევითი ინსტუტუტის თანამშრომელი, რომლებმაც დოქტორანტურაში ჩააბარეს მოცემულ პროგრამაზე, ხოლო თემატიკა განისაზღვრა რუსთაველის სახელობის ფონდის გამარჯვებული თემატიკიდან გამომდინარე. შესაბამისად სისტემები მეტად ახლო იყო სამშენებლო ფაკულთეტთან და სტუდენტებმაც სურვილი გამოთქვეს სწავლა გაეგრძელებინათ მოცემული კუთხით.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ძველი ლიტერატურა შედარების მიზნებისთვის არის გამოყენებული, იმის დასადგენად თუ საიდან იწყებოდა ფუნდამენტალური კვლევა.

რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, დაწესებულება განსაზღვრას ისეთ თემებს რომლებიც აქტუალური და საინტერსოა ფონდებისა და კვლევითი ინსტიტუტებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ დისერტაციამ ჰპოვოს პრაქტიკული გამოყენება.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურის საკითხთან მიმართებით ნიშვნელოვანია ძველი ლიტერატურის მოცულობა, რაც საკმაოდ დიდია. ასევე მითითებულია ისეთი წყაროები და ლიტერატურა, როგორც არის ,,კვირის პალიტრა“, რაც ასევე შეუსაბამოა დოქტორანტურის საფეხურთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა N9 სილაბუსი და განმარტა, რომ სწავლის შედეგებში გაწერილია შემდეგი: ,,განმარტავს, სარგებლობის ფუნქციონირებას, საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთობის თავისებურებას და ასე შემდეგ. აღწერს, ასაბუთებს, ანგარიშობს, აფასებს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა შესაბამისობაშია თუ არა სწავლის შედეგები დოქტორანტურის საფეხურს.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა თუ რამდენად არის სისტემა გამართული ისე, რომ ნაშრომი არ გავიდეს დაცვაზე. ასევ დააზუსტა, მოეთხოვება თუ არა დოქტორანტს საერთაშორისო პუბლიკაცია და თვლის თუ არა დაწესებულება, რომ სამომავლოდ მოთხოვნების საჭიროებენ გაზრდას. 2.4 კომპონენტის შეფასებაში აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებები არ არის.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით, აუცილებელი მოთხოვნაა საერთაშორიოს პუბლიკაცია. დაწესებულებას ასევე აქვს ამ კუთხით სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, საერთაშორიოს პუბლიკაცია თანხებთან არის დაკავშირებული შესაბამისად მიმართვის შედეგადა თავად დაწესებულებას შეუძლია იზრუნოს ნაშრომის გამოქვეყნებაზე.

რაც შეეხება სწავლის შედეგების საკითხს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრის მოსაზრებას, თუმცა სილაბუსში არის ისეთი საკითხებიც გათვალისწინებული, რომელბიც შეესაბამება სადოქტორო საფეხურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სილაბუსი არ არის კავშირში დისერტაციის დაცვის შედეგთან. საკითხი ეხება ეკონომიკურ შეფასებას. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანი მართვის თანამედროვე მეთოდები; აგროწარმოების ეკონომიკური ეფექტიანი მართვა და ცირკულარული ეკონომიკაზე გადასვლის ოპტიმალური პირობები. აგროეკოსისტემების

მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ეკოლოგიური აგროწარმოების შეფასება. აგრარული პოლიტიკის კონცეფცია და საირიგაციო მომსახურეობის განვითარების სტრატეგია. წყლის რესურსების მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო მელიორაციულ საქმიანობაში. ცირკულარული ეკონომიკის უპირატესობანი არსებულ წრფივ ეკონომიკურ ციკლთან მიმართთებაში. სოფლის მეურნეობის დარგში წრფივი ეკონომიკიდან ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო: 18:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაამატა რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ: არ გაიზიარა 1.1. კომპონენტში არსებული რეკომენდაცია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.4 და 5.1. კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა არ გამოუწვევია პირველი, მე-2 და მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვისგანსაზღვრულირეკომენდაციებიდარჩევებიშემდეგნაირადგ ამოიყურება:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - „ინჟინერია და საინჟინრო საქმე (არაკლასიფიცირებული)“; „მემცენარეობა და მეცხოველეობა“; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია“; „ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება“; „გარემოსმცოდნეობა“ - ამოღებული იქნას შემდეგი მიმართულებები: „მემცენარეობა და მეცხოველეობა“; „გარემოს დაცვის ტექნოლოგია“; „ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება“; „გარემოსმცოდნეობა“;
- რეკომენირებულია სასწავლო კურსების (მაგ. „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“) შესაბამისად მკაფიოს გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები;
- რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კუსებში შინაარსი და სწავლის შედგები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სადოქტორო საფეხურთან;
- რეკომენდირებბულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისთვის დეტალური და პროგრამის სამოქმედო გეგმასთან შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება;

- გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

რჩევები:

- პროგრამაში მითითებული ბმული „ბრძანება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ https://gtu.gr/Orders/ “ გასწორდეს ან ამოღებული იქნას ტექსტიდან;
- დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებსა თუ კვლევით პროექტებში;
- სასურველია გაფართოვდეს კავშირები კერძო სტრუქტურებთან,მათი ინიციატივით მოწოდებული აქტუალური თემების დამუშავების მიზნით;
- თვალსაჩინოების მაკეტების და ობიექტების და სხვადასხვა გამზომი მოწყობილოების გაზრდა;
- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №411 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიციებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დ.გურამიშვილის გამზ.No17, ქ.თბილისი, სასწ. კორპ.No11, 0192, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 4 და 5 მარტს ე.წ ჰიბრიდული ფორმატის სააკრედიტაციო ვიზიტით. კერძოდ, მატერიალურ ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტში 4 მარტს ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში. აკრედიტაციისათვის წაროდგენილი იყო 1 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ- ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა ორივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. შეხვედრები გაიმართლა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გასწორდეს პროგრამაში მითითებული უცხოური უნივერსიტეტების ინტერნეტ ბმულები;
2. დამუშავდეს გარკვეული გეგმა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად;
3. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
4. უნივერსიტეტმა იზრუნოს უნივერსიტეტის შენობაში ან მის მახლობლად კვების ობიექტის განსათავსებლად;
5. ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
6. სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისათვის ნათელი და მკაფიო;
2. ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც იქნება ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგში არსებული მგომარეობის შესწავლასა და ანალიზზე.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ 19:05 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. პროგრამაში მითითებულია სამი უცხოური უნივერსიტეტის ინტერნეტ ბმული,ტექნიკური ხარვეზი აქვს მესამე უცხოური უნივერსიტეტის (გუიჩჟოუს უნივერსიტეტი, გუიანი, ჩინეთი) ინტერნეტ ბმულს, შესაბამისად, აღმოფხვრილია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად ვიზიარებთ აკრედიტაციის. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში, I სტანდარტის ფარგლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასებას - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2020 წლის 20 ნოემბრიდან ახალგაზრდებს სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობს მოსამზადებელ ონლაინ კურსებს ორი მოდულის სახით. ორივე მოდულში წამყვანი საგანი მათემატიკაა. მათემატიკასთან ერთად აბიტურიენტები, სურვილის შესაბამისად სწავლობენ ფიზიკას ან ქიმიას. ეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჩუქარი და მხარდაჭერაა მოტივირებული ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც სურთ სწავლა საინჟინრო-ტექნიკური პროფილის მქონე უნივერსიტეტში გააგრძელონ. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, აგროინჟინერიის დეპარტამენტი ახორციელებს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ რეკლამირებას.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მსგავსი საკითხი არ უკავშირდება აკრედიტაციას. თუ ეს მაინც წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, აკრედიტაციის ფარგლებში ყოვლად გაუმართლებლად მივიჩნევთ ამ პოზიციის "რეკომენდაციის" სტატუსის მინიჭებას. ამავდროულად ვადასტურებთ, რომ სასწავლო და სამუშაო პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად ეს საკითხი არასდროს, ერთეულების დონეზეც კი, გამოკვეთილა არც ოფიციალური გამოკითხვებით და არც პირადი საუბრით. რამდენიმე კვების ობიექტი არსებობს მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის ერთი უშუალოდ უნივერსიტეტის კორპუსის წინ, თუმცა არსებული პანდემიის დროს აღნიშნულმა ობიექტმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. მეტიც, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და წახალისების ფორმად დამატებით გამოიყენება საბონუსე სისტემა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება და სხვა. გარდა პროექტებისა და აქტივობებისა, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო და საგანმანათლებლო

აქტივობებში, რაც თავის მხრივ გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ფაკულტეტი ასევე ფინანსურად უზრუნველყოფს „აგროინჟინერიის“ პროგრამის აკადემიური პერსონალის სახელმძღვანელოების და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითადად ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, პედაგოგების, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. კითხვარი, რასაც სტუდენტები ავსებენ საგანმანათლებო პროგრამის შეფასების მიზნით, მათ საშუალებას აძლევს, გამოთქვან თავიანთი აზრი როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების თაობაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულები არიან თვითშეფასების ჯგუფში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროგრამის შემუშავების, განხილვისა და შეფასების პროცესში, რასაც ადასტურებს ჩატარებული გამოკითხვები და სხდომის ოქმები. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისგან. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. კონკრეტული მაჩვენებლების შინაარსობრივი და ფორმალური გაუმჯობესებისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივ მზადყოფნაშია მოახდინოს სწრაფი რეაგირება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული აღწერილობითი ნაწილი, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მე-5 სტანდარტის 5.3. კომპონენტის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში. აქედან გამომდინარე კომპონენტი 5.3 უნდა შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ექსპერტთა შემადგენლობა, ვიზიტის ფარგლებში, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, დარწმუნდებოდა იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაში, რომ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები გამართულად უზრუნველყოფენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას, თანამედროვე მექანიზმებისა და საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებით.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულება მას მუდმივად აწარმოებს და თანამშრომლობს სხვდასხვა ინსტიტუციებთან, თუმცა როგორც სხვა პროგრამებთან მიმართებით ფორმა საჭიროებს შეცვლასა და გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა თუ როგორი წარმოდგენა შეექმნათ ექსპერტებს სწავლის შედეგებსა და სილაბუსებთან მიმართებით, მაგალითად ,,აგრონომიის საფუძვლები“. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად მიღწევადია მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის საკითხი უმჯობესია გათვალისწინებული ყოფილიყო რეკომენდაციის სახით. იდენტურია საკითხი ბიუჯეტთან.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური მდგრადობა ეჭვს არ იწვევს აღნიშნული ბიუჯეტით არ დასტურდება რადგან შესაბამისად არ არის მოცემული.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია საკვებ ობიექტთან მიმართებით მოსახსნელია, რადგან მიუხედავად მსჯელობისა, აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეჯერება შეუძლებელია. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სტუდენტთა ჩართულობის საკითხით და მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა ,,საინჟინრო მათემატიკის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ მოცემულია საინჟინრო მათემატიკა 1, შემდგომ საინჟინრო მათემატიკა 1.2 და საინჟინრო მათემატიკა 2. მნიშვნელოვანია, რომ საინჟინრო მათემატიკა 1.2-სა და საინჟინრო მათემატიკა 2-ს შორის არის საკითხების გადაფარვა. შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დეტალურად განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტებს ხარვეზები პროგრამის ფარგლებში არ დაუდგენიათ. ,,აგრონომიის საფუძვლებს“ აქვს სამი სწავლის შედეგი. აღნიშნული სასწავლო კურსი ინჟინერისთვის არის საბაზისო ცოდნის მიმცემი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად შეუწყობს შეფასების სიტემა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგებზე გასვლას.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ შინაარსობრივ ნაწილზე. შესაბამისად ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის მეთოდები და შინაარსი სრულიად შესაბამისა სწავლის შედეგებთან და პროგრამის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სტუდენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აბიტურიენტების მიღება კანონით არის დარეგულირებული. კანონითა და დაწესებულების დებულებით დასტურდება, რომ მიღება ხდებოდა მხოლოდ მათემატიკითა და ფიზიკით. თუმცა კონტიგენტი არ არის მაღალი. ოთხივე კურსზე ერთად არის 84 სტუდენტი, რაც არც თუ ისე დიდი რაოდენობაა სხვა სპეციალობებთან მიმართებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აგროინჟინერია ქვეყნის სოფლს მეურნეობის განვთარებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს; მის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა. მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი (საშუალება) უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ძირითადი კვების პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. პრობლემის აქტუალობას აძლიერებს ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტითაა განპირობებული. საქართველოში ბოლო წლებში ინტენსიურად შემოდის თანამედროვე რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიები და მანქანადანადგარები. სახელმწიფოს ინტერესშია, რომ ადგილზე

მოხდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენება არსებული პირობების გათვალისწინებით, მათი რეგიონებში დანერგვა და უზრუნველყოფა თანამედროვე დონის კვალიფიციური სპეციალისტებით.

ბაკალავრიატის საგანმანთლებლო პროგრამაში „აგროინჟინერია“ განხორციელდა ცვლილებები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად დაკორექტირდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაზუსტდა პროგრამის მიზანი; დაკორექტირდა სწავლის შედეგები; პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად დაკორექტირდა პროგრამის აღწერა; შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი;. დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლა-სწავლების) მეთოდები. დაკორექტირდა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. თანდართული სილაბუსების რაოდენობა იყო 64, გახდა 82; კერძოდ: შემოვიტანეთ სოფლის მექანიზაციის დისციპლინები, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო გეგმა ახალი სასწავლო კურსების (სილაბუსები) მიხედვით.

რაც შეეხება პროგრამის მიზნებს, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ მიზნები ჩამოყალიბებულა ნათლად, რეალისტურად და მიღწევადია. ასევე, მისი მიზანია აგროინჟინერიის სფეროს ფართო ცოდნის სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ გაზრდილ და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით გათვალისწინებულ ბაკალავრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება სტუ-ის და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. თუმცა, მოხდა ექსპერტების რჩევის გაზიარება და მოხდა საცნობარო ფურცლის შემუშავება. რაც შეეხება შეფასებების საკითხს, ლექტორი შეფასების საკითხში თავისუფალია და შეუძლია გადაწყვიტოს თუ რომელი შეფასების სახე გამოიყენოს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო საფეხურზე მოცემული სახელმძღვანელო პირდაპირ არის გადატანილი ასევე სადოქტორო პროგრამაშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლოა სახეზე იყოს ტექნიკური ხარვეზი გარდა ამისა პროგრამაში მოცემულია მხოლოდ საინჟინრო მათემატიკა 1 და საინჟინრო მათემატიკა 2.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:50
დასრულების დრო: 20:33

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაამატა რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ: არ გაიზიარა 1.1. კომპონენტი გაცემული რეკომენდაცია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 1.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; არ გაიზიარა 2.1 კომპონენტში გაცემული რეკომედაციები და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მითხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“; 2.2, 2.5 და 2.6 კომპონენტებში დაამატა რეკომენდაციები და ნაცვლად „შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-2 სტანდარტი შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; არ გაითავლისწინა 4.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-4 სტანდარტის შფასება და შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 5.1. კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხპოვნებთან“, შესაბამისად მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვისგანსაზღვრულირეკომენდაციებიდარჩევებიშემდეგნაირადგ ამოიყურება:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- რეკომენდირებულია დაზუსტდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში : „გრუნტების მექანიკა, ფუძე საძირკვლები“, „სამელიორაციო ჰიდროტექნიკური ნაგებობები“;
- რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კუსებში სწავლის შედგები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საბაკალავრო საფეხურთან;
- რეკომენდირებულია სწავლა/სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
- რეკომენდირებულია შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
- პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
- ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
- გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
- სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

რჩევები:

- პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისათვის ნათელი და მკაფიო;
- დამუშავდეს გარკვეული გეგმა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,აგროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგს საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:35 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ